

დიდი ქართველი არქეოლოგის ანდრია აფაქიძის იუბილე

2010 წლის 24 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა აკადემიკოს ანდრია აფაქიძის 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა, რომელიც მიყავდა აკადემიის პრეზიდენტს თამაზ გამყრელიძეს. შეხვედრაში სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებმაც, სიტყვით გამომსვლელთა შორის იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯონი აფაქიძე, რომელმაც ისაუბრა აკადემიკოს ანდრია აფაქიძის შესახებ როგორც დიდ მეცნიერზე და პრინციპულ პიროვნებაზე. ბატონმა ჯონი აფაქიძემ აღნიშნა, რომ ის პირველ კურსიდანვე მუშაობდა ბატონ ანდრიას ხელმძღვანელობით. ბოლოს დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ ბატონ ანდრიას შვილიშვილი, დუდანა (დუდი) მაზმანიშვილი, რომელიც ბატონ ანდრიას გამორჩეულად უყვარდა და რომლითაც დიდი მეცნიერი განსაკუთრებულად ამყობდა, დღეს მსოფლიოში უკვე ცნობილი მუსიკოსია.

სხდომაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მერიის გადაწყვეტილებით თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ბატონ ანდრია აფაქიძის სახელი ეწოდა.

აკადემიაში სხდომის დაწყებამდე მოხდა ბატონ ანდრია აფაქიძის მემორიალის გახსნა მის სახლთან (კ. კეკელიძის 16) და წმინდა ნინოს სახელობის მცხეთის დედათა მონასტერში ბატონ ანდრიას საფლავის ყვავილებით შემკობა.